სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18/07/2024

MES 1 24 0000879790

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის წესით
გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის,43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“,სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 18 ივნისის N1.1/73 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (18/07/2024წ; №878522) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის, რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა)2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადებისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 10 სექტემბრიდან 2024 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით;
ბ) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის წერილობითი თანხმობის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 11 სექტემბრიდან 2024 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით;

გ)უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 16 სექტემბრიდან 2024 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით;
დ)უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2024 წლის 20 სექტემბერს.

2.ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3.სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
8.ბრძანების მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
9.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა